სერიოზული ხარვეზებით

29 მარტს თბილისის “ბურევესტნიკის” სტადიონზე შედგა კიდევ ერთი საწვრთნელ–საკონტროლო მატჩი ფეხბურთში “ა” კლასის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და ლენინგრადის დინამოელები.

მოწინააღმდეგეებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს შეხვედრა: ლენინგრადი – სოროკინი; ვარნაკოვი, შიშკოვი, ტიხომიროვი; შიშაევი (დვორცოვი), ი. მოროზოვი; კარასევი, კუპრინი, ო. მოროზოვი, აქსიონოვი, ოგურცოვი. თბილისი – კვასხვაძე; ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოჭოლავა; გ. სიჭინავა, ხუნდაძე; ფიფია (ზეინკლიშვილი), მელაშვილი, კალოევი, იამანიძე, დათუნაშვილი.

თბილისელებმა კარგად დაიწყეს მატჩი. მართალია, ფიფია ამ დღეს გაცილებით ჩამორჩებოდა თავის პარტნიორებს არა მარტო საერთო სიძლიერით, არამედ აქტიურობით და მონდომებითაც, მაგრამ მარცხენა ფრთაზე წარმოებული იერიშებიც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ სტუმართა კარი რამდენიმეჯერ ყოფილიყო აშკარა ხიფათის წინაშე. კალოევს, მელაშვილსა და იამანიძეს არაერთხელ ჰქონდათ შესაძლებლობა უშუალოდ თამაშიდან გაეტანათ ბურთი, მაგრამ მათი დარტყმები მეტად არაზუსტი იყო. მე–15 წუთზე ვარნაკოვმა ხელით ითამაშა თავისი გუნდის საჯარიმო ხაზზე და კალოევმა 11–მეტრიანი დარტყმით გახსნა ანგარიში. მცირე ხნის შემდეგ შიშაევის შეცდომით კარგად ისარგებლა ხუნდაძემ, ზუსტად გადააწოდა კარის წინ იამანიძეს, რომელმაც მეორე ბურთი გაიტანა – 2:0.

დამთავრდა პირველი ტაიმი და მასთან ერთად დამთავრდა თბილისელთა კოლექტიური თამაშიც. მეორე ტაიმი გუნდმა ჩაატარა ძალზე უსისტემოდ, დიდი შეცდომებით. თავდასხმამ თითქმის მთლიანად დაკარგა ურთიერთგაგება, ნახევარდაცვა იზოლირებული აღმოჩნდა თავისი წინა ხაზისაგან, ხშირად ირღვეოდა დაზღვევა დაცვაში, კერძოდ, ტაქტიკურად არასწორად ითამაშეს ერთმანეთს შორის ხოჭოლავამ და გ. სიჭინავამ. ერთი სიტყვით, ჩვენი გუნდის თამაში მეორე ტაიმში ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა.

ყველაფერმა ამან საშუალება შეუქმნა ლენინგრადელებს ხელთ აეღოთ ინიციატივა, რაც მათ დაუყოვნებლივ შეასრულეს. მე–8 წუთზე ოგურცოვმა კარგად გამოიყენა კვასხვაძის გვიანი გამოსვლა კარიდან და გაქვითა პირველი გოლი, ხოლო შემდგომში ო. მოროზოვმა საუკეთესო თავური დარტყმით გაათანაბრა ანგარიში – 2:2.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩი დამთავრდა უშედეგოდ – 0:0.

ა. ძნელაძე.
31 მარტი, 1961 წ.